საქართველოს
კონკურენციის
ეროვნული სააგენტო

N 02/1216
02/12/2022

1216-01-2-202212021528

მოქალაქე ლაშა ოქრომჭედლიშვილს

მისამართი: ქ.თბილისი, გაბრიელ სალოსის №120, ბინა №51

ბატონო ლაშა,

გაცნობებთ, რომ სსიპ - საქართველოს კონკურენციის ეროვნულ სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო) 2022 წლის 22 ნოემბრის №01/2155 განცხადებით მომართა მარატ სადიკოვმა (შემდგომში - განმცხადებელი). განცხადების თანახმად, მარატ სადიკოვსა და ლაშა ოქრომჭედლიშვილს (შემდგომში - მესაკუთრე) შორის, 2022 წლის 3 ოქტომბერს, გაფორმდა ქირავნობის ხელშეკრულება და განმცხადებელს სარგებლობაში გადაეცა ქ. თბილისში, გაბრიელ სალოსის №120, ბინა №51, მე-10 სართულზე მდებარე უძრავი ქონება. განმცხადებელი აღნიშნავს, რომ უძრავი ქონების ნაწილს გაუჩნდა ობი, შესაბამისად, ცხოვრება ასეთ ბინაში გახდა საშიში ჯანმრთელობისთვის, ხოლო მესაკუთრე უარს აცხადებს ხსენებული ნაკლის აღმოფხვრაზე.

აღსანიშნავია, რომ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომ - კანონი) თანახმად, ამ კანონის მიზანია მომხმარებლის უფლებების სამართლებრივი საფუძვლების განსაზღვრა და მომხმარებლის პატივისცემაზე დამყარებული ქცევის კულტურის ხელშეწყობა. კანონი განსაზღვრავს იმ მომხმარებლის უფლებების დაცვის ზოგად პრინციპებს, რომელიც სამართლებრივ ურთიერთობას ამყარებს მოვაჭრესთან მისი საქონლის ან მომსახურების პირადი მოხმარების მიზნით გამოსაყენებლად.

კანონის 28-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, მომხმარებელს უფლება აქვს, ამ კანონის დარღვევის შესახებ მიმართოს სააგენტოს ან შესაბამისი სფეროს მარეგულირებელ უფლებამოსილ ორგანოს. ამ კანონის 29-ე–36-ე მუხლები არ ვრცელდება შესაბამისი სფეროს მარეგულირებელ უფლებამოსილ ორგანოზე. შესაბამისი სფეროს მარეგულირებელი უფლებამოსილი ორგანო ამ მუხლით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას ხელმძღვანელობს თავის მიერ დადგენილი წესით.

დ.აღმაშენებლის გამზ. 154, 0102 თბილისი, საქართველო
+995 32 2440 770 (2174/2467)
info@gnca.gov.ge
www.gnca.gov.ge

საქართველოს ტერიტორიაზე მომხმარებლის ამ კანონით დადგენილი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას, მისი უფლებების დარღვევის პრევენციასა და დარღვეული უფლებების აღდგენის ხელშეწყობას, მომხმარებლის უფლებების დარღვევის ფაქტების გამოვლენასა და დარღვევებზე კანონით გათვალისწინებულ სათანადო რეაგირებას ახორციელებენ სააგენტო და შესაბამისი სფეროს მარეგულირებელი უფლებამოსილი ორგანო.

კანონის 29-ე მუხლის საფუძველზე, სააგენტო საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების განსახორციელებლად ახორციელებს რიგ ღონისძიებებს, მათ შორის:

- შეისწავლის მომხმარებლის ამ კანონით დადგენილი უფლების შესაძლო დარღვევის ისეთ ფაქტს, რომელმაც გამოიწვია ან შესაძლოა გამოიწვიოს მომხმარებელთა ჯგუფის უფლების დარღვევა;

- საქმის შესწავლის მიზნით განმცხადებლისგან ან/და მოვაჭრისგან გამოითხოვს ინფორმაციას (მათ შორის, კონფიდენციალურ ინფორმაციას), რომელიც სააგენტოს შესაბამისი უფლებამოსილების განსახორციელებლად სჭირდება;

- უფლებამოსილია საქმესთან დაკავშირებული ინფორმაციის მიუღებლობის შემთხვევაში სასამართლოს წარუდგინოს შუამდგომლობა მოვაჭრის მიერ შესაბამისი ინფორმაციის წარდგენის შესახებ;

- იწვევს მხარეებს/დაინტერესებულ პირებს ახსნა-განმარტებების მისაღებად.

დანართის სახით გიგზავნით ხსენებულ განცხადებას და გთხოვთ, კანონის 28-ე, 30-ე, 32-ე მუხლებისა და საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანებით დამტკიცებული „საქმის შესწავლის წესისა და პროცედურის“ მე-5 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, წინამდებარე წერილის ჩაბარებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში მოგვაწოდოთ თქვენი პოზიცია მასში დაფიქსირებულ გარემოებებთან დაკავშირებით.

დანართი: 4 (ოთხი) ფურცელი

სერგო სანიკიძე

დეპარტამენტის უფროსი
მომხმარებლის უფლებების დაცვის დეპარტამენტი